კომპანია „ნობლექსი“ 2005 წლიდან მოღვაწეობს აგრობიზნესში და წარმოადგენს ერთერთ უმსხვილეს სადისტრიბუციო კომპანიას ამ მიმართულებით საქართველოს მასშტაბით, რომელიც თბილისსა და კახეთში წარმოდგენილია მაღაზიათა ქსელით **„აგროსფერო“.**
ჩვენი მისიაა, ხელი შევუწყოთ ქართველ ფერმერებს, გავუჩინოთ მოტივაცია, რათა სოფლის მეურნეობას მეტი ხალისით და ენთუზიაზმით ემსახურონ, საკუთარ მიწაზე მოიყვანონ ქართული მოსავალი, რომელიც მათი კეთილდღეობის საფუძველი და ფინანსური გარანტი გახდება.

ჩვენი ღირებულებაა:
პროდუქციის ხარისხი:

- წარმოვადგენთ მსოფლიოს ლიდერ 20-ზე მეტ კომპანიას სხვადასხვა მიმართულებით: მცენარეთა დაცვის საშუალებები - **Bayer AG,** მინერალური სასუქები - **Yara,** სასოფლო სამეურნეო ტექნიკა - **Claas,** სათესლე მასალა - **Rijk Zwaan, Nunhems**, ფილტრაციის სისტემები **Pall**, მუხის კასრები და დამხმარე მასალები - **Seguin Moreau** და სხვა.

მაღალი სტანდარტის მომსახურება და სანდოობა:

- „აგროსფერო“-ს მაღაზიათა ქსელში შეძენილ პროდუქციას, თან ერთვის მაღალკვალიფიციური კონსულტაცია, რომელიც მიმართულია საუკეთესო შედეგისკენ. ჩვენი მიზანი მომხმარებლებისთვის შეთავაზებული მომსახურებით მიღებული შედეგია და პარტნიორული ურთიერთობა

განვითარება და წინსვლა:

- „ნობლექსი“ დაარსების დღიდან მუდმივად ვითარდება და განაგრძობს წინსვლას. მუდმივად ვითარდებიან და იზრდებიან თანამშრომლები და დღეს შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ კომპანია ასოცირდება თანამშრომლისთვის, საუკეთესო დამსაქმებელთან და მომხმარებლებისთვის, პროფესიონალიზმთან და მაღალი ხარისხის პროდუქციასთან.

სრული ინფორმაციისთვის: www.agrosphere.ge;

ჩვენი კომპანია გთავაზობთ **პროდუქტ-მენეჯერის** პოზიციაზე მუშაობას, სასუქების მიმართულებით

ძირითადი მოვალეობები:

- **სასუქების მიმართულებით არსებული პორტფელის ეფექტური მართვა**
- მოლაპარაკებების წარმოება არსებულ თუ პოტენციურ მომწოდებლებთან და პარტნიორული ურთიერთობის განვითარება
- ადგილობრივი ბაზრის ანალიზი და მოთხოვნების შესწავლა
- სწორი ფასწარმოქმნა და გაყიდვების სტიმულირება
- ახალი პროდუქტის დანერგვის სამუშაოების ორგანიზება და კოორდინირება

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- აუცილებელია აგრარული განათლება
- მსგავს პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება (გამოცდილების არ ქონის შემთხვევაში: კომერციული საქმიანობისადმი ინტერესი: ბაზრის კვლევა, მოლაპარაკება, ანალიზი, შესყიდვა, გაყიდვების მხარდაჭერა და ა.შ.)
- აუცილებელია: ინგლისური და რუსული ენების ცოდნა
- Excel- ის კარგი ცოდნა
- ქვეყნის გარეთ, მივლინებით ვიზიტის შესაძლებლობა

რეზიუმე გამოაგზავნეთ, მეილზე: hr@noblex.ge 15.02.2020-ის ჩათვლით
გაითვალისწინეთ: აუცილებელია რეზიუმეს გამოგზავნისას, მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება

წარმატებებს გისურვებთ !

ჩვენი პარტნიორი კომპანიის შესახებ ინფორმაცია (იმ კომპანიის, რომელთანაც პროდუქტ-მენეჯერს მოუწევს თანამშრომლობა):

https://www.youtube.com/watch?v=6UGEGjmhr1A

https://www.youtube.com/watch?v=JBPKJbjxjnE